

**„მაგისტრალური გაზსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის  
დამტკიცების თაობაზე**

დოკუმენტის ნომერი 257  
დოკუმენტის მიმღები საქართველოს მთავრობა  
მიღების თარიღი 26/03/2014  
დოკუმენტის სახე საქართველოს მთავრობის დადგენილება  
გამოქვეყნების წყარო, თარიღი ვებგვერდი, 26/03/2014  
სარეგისტრაციო კოდი 300160070.10.003.017877  
ძალაში შესვლის თარიღი 01/01/2014  
საქართველოს მთავრობის  
დადგენილება №257  
2014 წლის 26 მარტი ქ. თბილისი

**„მაგისტრალური გაზსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“ ტექნიკური  
რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე**

**მუხლი 1**

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 103-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი „მაგისტრალური გაზსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

ტექნიკური რეგლამენტი

**„მაგისტრალური გაზსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“**

## თავი I. რეგულირების სფერო და ტერმინთა განმარტება

### მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ტექნიკური რეგლამენტი მაგისტრალური გაზსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) ადგენს მოთხოვნებს მაგისტრალური გაზსადენის მოწყობილობის და ნაგებობის მიმართ.

2. ეს ტექნიკური რეგლამენტი ვრცელდება დასაპროექტებელ, მშენებარე, რეკონსტრუირებულ და ექსპლუატაციაში მყოფ მაგისტრალურ გაზსადენს და სავალდებულოა ყველა ორგანიზაციისათვის, რომელიც ახორციელებს მაგისტრალურ გაზსადენთან დაკავშირებულ საქმიანობას.

3. მაგისტრალურ გაზსადენში შედის: მილსადენის ხაზური ნაწილი, გაზგამანაწილებელი სადგური, საკომპრესორო სადგური, გაზის აღრიცხვის სადგური, სატუმბო (გადამტუმბი) სადგური, მიღებისა და ჩაბარების პუნქტები, გადამტვირთავი ბაზა, სარეზერვუარო პარკი, გაშვებისა და მიღების კვანძები.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) ორფაზიანი ნაკადი – სატრანსპორტო ნაკადი, რომელიც ორი სახის

თხევადი და (ან) გაზისებრი ნახშირწყალბადებისაგან შედგება;

ბ) გაზგამანაწილებელი სადგური – მაგისტრალური მილსადენის სისტემის შემადგენელი კომპლექსური ტექნოლოგიური ობიექტი, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლისათვის მისაწოდებელი გაზის წნევის რეგულირებისათვის, გაწმენდისათვის, ოდორიზაციისა და რაოდენობის აღრიცხვისათვის. იგი მოიცავს რეგულირების სისტემას, შენობა-ნაგებობას, ასევე, მოწყობილობასა და სამარჯვებს;

გ) გაზის აღრიცხვის (გაზსაზომი) სადგური – მაგისტრალური მილსადენის სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს კომპლექსურ ტექნოლოგიურ ობიექტს.

განკუთვნილია გაზის ხარჯის გაზომვისათვის და მოიცავს გაზომვის საშუალებებს, სისტემებსა და ტექნოლოგიურ მოწყობილობას გამზომი ფუნქციებით;

დ) საკომპრესორო სადგური – მაგისტრალური მილსადენის სისტემის შემადგენელი ნაწილი, კომპლექსური ტექნოლოგიური ობიექტი, რომელიც განკუთვნილია გაზის წნევის შექმნისა და შენარჩუნებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გაზის ტრანსპორტირება მაგისტრალური მილსადენის ხაზურ ნაწილში; იგი მოიცავს წნევის შექმნისა და შენარჩუნებისათვის საჭირო ტექნოლოგიურ მოწყობილობას, საშუალებებსა და სისტემებს;

ე) მაგისტრალური მილსადენის ხაზური ნაწილი – მაგისტრალური მილსადენის სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შედგება მილსადენისაგან (ჩამკეტი და სხვა არმატურის, ბუნებრივ და ხელოვნურ დაბრკოლებებზე გადასასვლელების ჩათვლით), კოროზიისაგან ელექტროქიმიური დაცვის დანადგარებისაგან, ტექნოლოგიური კავშირისა და სხვა მოწყობილობებისა და ნაგებობებისაგან და განკუთვნილია თხევადი და გაზისებრი ნახშირწყალბადების ტრანსპორტირებისათვის;

ვ) დაცვის ზონა – განსაკუთრებული გამოყენების პირობების მქონე ტერიტორია ან აკვატორია, დადგენილი მაგისტრალური მილსადენის გასწვრივ, მაგისტრალური მილსადენის ექსპლუატაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის;

ზ) სამუშაოთა წარმოების პროექტი – დოკუმენტი, რომელიც ადგენს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების თანამიმდევრობასა და მეთოდებს, ტექნოლოგიური ოპერაციების უსაფრთხო, რაციონალურ და ხარისხიან ხერხებს, რომლის შედგენილობა და დეტალიზაციის დონე განისაზღვრება შესასრულებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობით და სპეციფიკით;

თ) მიღების პუნქტი – მაგისტრალური მილსადენის სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს კომპლექსურ ტექნოლოგიურ ობიექტს. იგი თავის თავში მოიცავს შენობას, ნაშენს და ნაგებობას განკუთვნილს მაგისტრალური მილსადენის მიღებისა და სატრანსპორტო მედიუმის (გარემო, ნივთიერება, მასალა) აღრიცხვისათვის, ტექნიკური რეგულირების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) გაცემის პუნქტი – მაგისტრალური მილსადენის სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს კომპლექსურ ტექნოლოგიურ ობიექტს და მოიცავს შენობას, ნაშენს და ნაგებობას განკუთვნილს მაგისტრალური მილსადენის აღრიცხვა-ანგარიშგების ოპერაციებისათვის მაგისტრალური მილსადენით ტრანსპორტირებული სითხის (გაზის) გადაცემა-ჩაბარების დროს;

კ) მართვისა და კონტროლის სისტემა – მექანიკური, ელექტრომექანიკური, ელექტრული, ელექტრონული მოწყობილობა, კონსტრუქცია და პროგრამული საშუალება, ექსპლუატაციაში მყოფი მაგისტრალური მილსადენის კონტროლისა და მართვის რეალიზაციის უზრუნველყოფისათვის;

ლ) გაშვების კვანძი – მაგისტრალური მილსადენის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს საწარმოო მოედანს ურთიერთდაკავშირებული მოწყობილობის კომპლექსით. იგი განკუთვნილია მილისშიგა გაწმენდის, სადიაგნოსტიკო და გადასატუმბი თხევადი და აირადი ნახშირწყალბადების ნაკადების გამამხოლოებელი მოწყობილობის გაშვების ტექნოლოგიური ოპერაციების ჩასატარებლად, მაგისტრალური მილსადენის ხაზურ ნაწილში;

მ) მიღების კვანძი – მაგისტრალური მილსადენის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს საწარმოო მოედანს ურთიერთდაკავშირებული მოწყობილობის კომპლექსით. იგი განკუთვნილია, მილისშიგა გაწმენდის, სადიაგნოსტიკო, გამამხოლოებელი და მაკერმეტიზებელი მოწყობილობის მიღებისა და ამოღების ტექნოლოგიური ოპერაციების ჩასატარებლად, მაგისტრალური მილსადენის ხაზურ ნაწილში;

ნ) ოპერატორი კომპანია – კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრული იურიდიული პირი, რომელიც მესაკუთრის სტატუსით ფლობს ან სხვა კანონიერ საფუძველზე მინიჭებული აქვს მაგისტრალური მილსადენის ექსპლუატაციის უფლება, ჰყავს სათანადოდ განსწავლული პერსონალი და ფლობს შესაბამის ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც აუცილებელია მაგისტრალური მილსადენის მართვის, მომსახურებისა და უსაფრთხო მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის;

ო) მოწყობილობა – ძირითადი და (ან) დამატებითი ფუნქციის შესრულებისათვის, ასევე, რამდენიმე მანქანის ერთ კომპლექსად გაერთიანებისათვის აუცილებელი დამოუკიდებლად გამოსაყენებელი ან მანქანაზე დასადგმელი ტექნიკური მოწყობილობა;

პ) აფეთქებასაფრთხიანი ზონა – სივრცე, რომელშიც არსებობს ან შეიძლება წარმოიქმნას აფეთქებასაფრთხიანი ნარევი და რომელთა ფარგლებში დაწესებულია შეზღუდვები აფეთქების წარმოქმნის ალბათობის შემცირების მიზნით;

ჟ) სისტემა – ნაგებობების, მანქანების და (ან) მოწყობილობათა ერთობლიობა, გაერთიანებული კონსტრუქციულად და (ან) ფუნქციურად მოთხოვნილი ფუნქციების შესრულებისათვის.

## თავი II. პერსონალი

### მუხლი 3. მომსახურე პერსონალი

1. სამუშაოზე დაშვებამდე მომსახურე პერსონალი უნდა გაეცნოს ტექნიკურ რეგლამენტს, გაიაროს ინსტრუქტაჟი დადგენილი მოთხოვნების მიხედვით.

2. მაგისტრალური გაზსადენების ობიექტების ტექნოლოგიური და სხვა მოწყობილობის ექსპლუატაციაზე, მომსახურებასა და რემონტზე დაიშვებიან პირები, რომლებსაც გააჩნიათ პროფესიულ-ტექნიკური განათლება ან გავლილი აქვთ შესაბამისი სწავლება.

## თავი III. მაგისტრალური გაზსადენის მეურნეობა

### მუხლი 4. მაგისტრალური გაზსადენის ტერიტორია

1. ძირითადი საწარმოო ობიექტის ტერიტორია უნდა იყოს შემოღობილი და ჰქონდეს საერთო სარგებლობის გზებზე სულ ცოტა ორი გასასვლელი. შემოღობვა მუდმივად უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში და არ იძლეოდეს ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლის საშუალებას. ობიექტის ტერიტორიის შესასვლელში და შემოღობვის მთელ პერიმეტრზე უნდა იყოს განთავსებული უსაფრთხოების ნიშნები და შესაბამისი წარწერები მოქმედი სტანდარტის მიხედვით.

2. ღამის საათებში ობიექტების ტერიტორიები აუცილებელია განათდეს. ელექტროგანათება უნდა აკმაყოფილებდეს ელექტროდანადგარების მოწყობის წესების მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს განათებულობის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. ობიექტებზე მოწყობილობა უნდა განთავსდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი მომსახურების და რემონტის მოსახერხებელი და უსაფრთხო შესრულება. მოწყობილობებს

შორის მანძილი, აგრეთვე, მანძილი მოწყობილობიდან შენობის კედლებამდე უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებს.

4. შენობებსა და ნაგებობებთან გასასვლელები, აგრეთვე, ჩამკეტი არმატურის მართვის კვანძებთან, საზომ-საკონტროლო ხელსაწყოებსა და ავტომატიკის საშუალებებთან მისასვლელები დროულად უნდა გაიწმინდოს ტალახის, თოვლის, ყინულისა და ქვიშისაგან.

5. საწარმოო ობიექტების სათავსებს უნდა ჰქონდეთ სულ ცოტა ორი ერთმანეთის საპირისპიროდ განლაგებული გასასვლელი.

6. შენობებში შესასვლელს უნდა ჰქონდეს კარსელი (ტამბური) ან სხვა მოწყობილობა, რომელიც დაიცავს მუშაკებს გამჭოლი (ორპირი) ქარისა და ტემპერატურის მკვეთრი დაცემისგან.

7. მოედნები, გადასასვლელები და ჩაღრმავებები სათავსოებში უნდა იყოს შემოზღუდული და მათ უნდა ჰქონდეს მოაჯირებიანი კიბეები.

8. ჭები, მათ შორის, წყალსადენის და კანალიზაციის, მიწისქვეშა საცავები და დახურული არხები (შემდგომში – ჭები), რომლებიც განლაგებულია გაზსადენების გასწვრივ ორივე მხარეს 15 მ-ის მანძილზე, წარმოადგენს საშიშ ზონას და მათი შემოწმება უნდა განხორციელდეს მოქმედი სტანდარტის მიხედვით.

9. ჭები მუდმივად დახურული (დაკეტილი) უნდა იყოს სპეციალური სახურავებით.

10. ჭა, რომელშიც სრულდება სამუშაო, უნდა შემოიღობოს, დაყენდეს უსაფრთხოების ნიშნები და განათდეს ღამის საათებში.

11. ჭაში გაზის დაგროვების თავიდან ასაცილებლად და ჰაერის ნიმუშის ასაღებად ჭაში ჩაუსვლელად, მის სახურავს უნდა ჰქონდეს შესაბამისი დიამეტრის ნახვრეტი.

12. ჭები დაცული უნდა იყოს ზედაპირული და გრუნტის წყლების მოხვედრისგან. აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გაკეთდეს დრენაჟი ჩამონადენების სამრეწველო კანალიზაციაში ჩასაშვებად ჰიდრავლიკური საკეტის გავლით.

13. ქების დათვალიერება და გაწმენდა უნდა ჩატარდეს მოქმედი სტანდარტის მიხედვით.

14. ჭაში სამუშაოები უნდა ჩატარდეს შესაბამისი სტანდარტის დაცვით.

15. ჭაში ჩასვლამდე აუცილებელია მისი ზემოდან დათვალიერება და დაგაზიანებაზე შემოწმება. დაგაზიანებისას ჭა კარგად უნდა განიავდეს გადასატანი ვენტილატორებით ან სხვა აფეთქებაუსაფრთხო შესრულების მოწყობილობით და ჩატარდეს ჰაერის განმეორებითი ანალიზი.

16. მოწყობილობის, მილსადენების, ინსტრუმენტების, საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების და ავტომატიკის საშუალებების ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს დამამზადებელი ქარხნის ინსტრუქციის საფუძველზე შედგენილი ტექნოლოგიური ინსტრუქციების შესაბამისად.

17. მოწყობილობას და არმატურას უნდა ჰქონდეს რიგითი ნუმერაცია.

18. მოწყობილობის, მილსადენების, საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების და ავტომატიკის საშუალების ავარიული გაჩერების (გამორთვის) შემთხვევაში, მათი ხელმეორედ ამუშავება (ჩართვა) აკრძალულია მანამ, სანამ არ გამოვლინდება და არ აღმოიფხვრება დარღვევის მიზეზი, რამაც განაპირობა ავარიული გაჩერება (გამორთვა).

19. მოწყობილობის მბრუნავი და მოძრავი ნაწილები საიმედოდ უნდა იქნეს შემოზღუდული.

## მუხლი 5. მიწისქვეშა მილსადენი

1. მაგისტრალური გაზსადენის ტრასასა და განშტოებებზე უნდა მოეწყოს საგზაო ნიშნები შესაბამისი სტანდარტის დაცვით.

2. მაგისტრალური გაზსადენის ტრასა, რომელიც გადის სატყეო მიწებზე, განაპირა გაზსადენის ღერძიდან ორივე მხარეს აუცილებელია პერიოდულად გაიწმინდოს ეკალბარდებისაგან და შენარჩუნდეს უსაფრთხო მდგომარეობაში.

3. მაგისტრალური გაზსადენის ხაზოვანი ნაწილი ექსპლუატაციის პერიოდში ექვემდებარება დათვალიერებას მოქმედი სტანდარტის შესაბამისად.

4. მაგისტრალური გაზსადენების საავტომობილო გზების ყველა კატეგორიის გადასასვლელი აუცილებელია შემოწმდეს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად.

5. საწარმოს უნდა ჰქონდეს შემუშავებული ავარიის შეტყობინების წესი, საავარიო ბრიგადის შეკრების და ავარიის ადგილზე გასასვლელად, აგრეთვე, ავარიის ლიკვიდაციისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების, მოწყობილობების, ინსტრუმენტების, მასალების, კავშირგაბმულობის საშუალებების, ხანძრის ჩაქრობის, ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების ჩამონათვალი.

6. გაზსადენის რიგგარეშე დათვალიერება უნდა ჩატარდეს უბანზე, სადაც სტიქიური უბედურების შემდეგ შესაძლებელია დაზიანდეს გაზსადენები და მისი ინფრასტრუქტურის ნაგებობები, აგრეთვე, გაზსადენიდან ან არმატურიდან გაზის გაჟონვის გამოვლენის შემთხვევაში.

7. გაზსადენების მდინარეებზე, ხევებსა და ნაკადულებზე გადასასვლელები დაცული უნდა იყოს გამორეცხვებისა და დაზიანებებისაგან შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

8. საწარმოში უნდა იყოს შედგენილი საავარიო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის (სამარშრუტო რუკები) ოპტიმალური გზის სქემები მათი ბაზირების ადგილიდან ტრასის ყველა უბნამდე წლის სხვადასხვა დროში და სხვადასხვა მეტეოროლოგიურ პირობებში.

9. მაგისტრალურ გაზსადენებზე, მის ნაგებობებსა და არმატურაზე გაუმართაობის (უწყესივრობის) ლიკვიდაცია, რომლებიც მოითხოვს საცეცხლე ან გაზსაფრთხიანი სამუშაოების ჩატარებას, უნდა შესრულდეს მოქმედი სტანდარტის მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 6. მიწისქვეშა მილსადენი, საყრდენები და გადასასვლელები

1. გაზსადენის ანტიკოროზიული დაფარვის დარღვევის შემთხვევაში იგი დაუყონებლივ უნდა იქნეს აღდგენილი.



2. გაზსადენის მიერ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი საჰაერო ხაზის გადაკვეთის ადგილებში უნდა მოეწყოს სადენის გაწყვეტის შემთხვევაში გაზსადენის დამცავი კონსტრუქციები.

3. გაზსადენის გარედან გაწმენდა და მასზე საიზოლაციო საფარის დატანა მოწყობილობების და მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც ეყრდნობიან მილსადენს, უნდა განხორციელდეს მას შემდეგ, რაც უბანი გაითიშება და გათავისუფლდება გაზისაგან (მისგან გამოდევნილი იქნება გაზი).

4. სატრანსპორტო საშუალებებს და მექანიზმებს ეკრძალებათ გაზსადენის ტრასის გასწვრივი მოძრაობა გაზსადენების საყრდენებიდან 10 მ-ზე უფრო ახლოს.

5. მაგისტრალური გაზსადენის გადასასვლელები მდინარეებსა და ხრამებზე უნდა იყოს შეღობილი, რათა გამოირიცხოს მილსადენზე გადასვლის შესაძლებლობა.

6. მაგისტრალურ გაზსადენებზე გადასვლა (სატრანსპორტო საშუალებებით) დასაშვებია შესაბამისი სტანდარტის მიხედვით, სპეციალურად მოწყობილი გადასასვლელების შემთხვევაში, თუ იგი კონსტრუქციულად არ არის დაკავშირებული გაზსადენთან.

7. მაგისტრალურ გაზსადენებზე გადასასვლელების კონსტრუქციები გაანგარიშებული უნდა იქნეს იმ მანქანების, მექანიზმების და მოწყობილობების მაქსიმალური წონის გათვალისწინებით, რომელთაც მოუწევთ მასზე გადაადგილება. გადასასვლელის კონსტრუქციაზე დასაშვები დატვირთვა ნაჩვენებია უნდა იყოს მასზე დაყენებულ სპეციალურ საგზაო ნიშანზე.

8. გვირაბებში გამავალ გაზსადენებზე სამუშაოების უსაფრთხო შესრულებისთვის დამუშავებული უნდა იქნეს სპეციალური ინსტრუქცია.

9. გვირაბის კარიბჭეები (პორტალები) უნდა აღიჭურვოს სპეციალური ცხაურული შემოღობვებით, რომლებიც უნდა იყოს დაკეტილი.

10. გაზსადენზე ან გვირაბის კედელზე უშუალოდ გაზსადენის ზემოთ ღია ფერის საღებავით დატანილი უნდა იქნეს განივი აღნიშვნები, რომლებზეც აღნიშნული იქნება მანძილები

გვირახის შესასვლელამდე და გამოსასვლელამდე. ისრით უნდა აღინიშნოს მილსადენში გაზის მოძრაობის მიმართულება.

11. გვირახში შესვლა უნდა განხორციელდეს არანაკლებ ორკაციანი ჯგუფით, აირწინაღებით და აფეთქებაუსაფრთხო შესრულების აკუმულატორული სანათურებით, მას შემდეგ, რაც გვირახში ჰაერი შემოწმდება დაგაზიანებაზე.

12. გვირახში ხალხის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყოფნისას საჭიროა პერიოდულად მოხდეს ჰაერის კონტროლი.

13. გვირახში ხალხის ყოფნის მთელი დროის განმავლობაში გვირახის შესასვლელები ორივე მხრიდან (შესასვლელი და გამოსასვლელი) უნდა იყოს გაღებული.

14. მაშველები ვალდებული არიან იქონიონ უწყვეტი კავშირი გვირახში მყოფ ხალხთან (რადიოთი, ტელეფონით, ხმოვანი ან პირობითი სიგნალებით).

15. გვირახის წყლების გადინების ლიკვიდაციისათვის, გვირახის კედლების შესაკეთებლად, უნდა ჩატარდეს სამუშაოები სპეციალურად შემუშავებული გეგმების და გაზსადენის დაცულობის გათვალისწინებით, სამთო სამუშაოების შესრულების ინსტრუქციის შესაბამისად.

16. გვირახში მუშაობისას დასაშვებია იმყოფებოდეს მხოლოდ ის პერსონალი, რომელიც უშუალოდ დაკავებულია მიმდინარე სამუშაოებით ან ამ სამუშაოების მიმდინარეობის კონტროლით.

17. გაზსადენის გარე ზედაპირის გაწმენდა და შეღებვა უნდა ხორციელდებოდეს გვირახში ჰაერის ნაკადის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით.

18. დაუშვებელია გვირახში ღია ცეცხლით სამუშაოების ჩატარება ერთდროულად ორ პუნქტში.

19. დამხმარე მოწყობილობა ელექტროამძრავით, საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები, ავტომატიკის საშუალებები ელექტროკვებით და განათების საშუალებები, რომლებიც გამოიყენება გვირაბს შიგნით, უნდა იყოს აფეთქებაუსაფრთხო შესრულების.

#### მუხლი 7. კოროზიისგან დაცვა

1. მაგისტრალური გაზსადენების ობიექტები დაცული უნდა იყოს ნიადაგის კოროზიისა და მოხეტიალე დენებით გამოწვეული კოროზიისაგან.

2. მაგისტრალური გაზსადენების ნაგებობების (მოწყობილობის) კოროზიისაგან კომპლექსური დაცვა და კოროზიულობის მდგომარეობა ექვემდებარება კონტროლს დაწესებული ვადების, წესისა და მუშაობის მოცულობის მიხედვით, მოქმედი სტანდარტის შესაბამისად.

3. აკრძალულია წნევის ქვეშე მყოფ გაზსადენებზე კათოდური გამომყვანების მიერთება ელექტრო და გაზოშედულებით.

4. მოქმედ გაზსადენზე კათოდური და სადრენაჟო გამომყვანების მოწყობა უნდა განხორციელდეს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად.

5. მილსადენზე გამტარების მიერთების ადგილები და თვით გამტარები მიდუღების შემდეგ უნდა დაიფაროს ანტიკოროზიული იზოლაციით.

6. რკინიგზასა და საავტომობილო გზებზე გადასასვლელების დამცავ გარსაცმებზე გაზომვების ჩატარებაში უნდა მონაწილეობდეს 2 ადამიანი: ერთი, რომელიც მუშაობს ხელსაწყოებზე და მეორე, რომელიც ახდენს ელექტროდის გადაადგილებას და თვალყურს ადევნებს ტრანსპორტის მოძრაობას.

#### მუხლი 8. საკომპრესორო სადგური

1. საკომპრესორო სადგურების საწარმოო მოედნები, შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები და სისტემები უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო დოკუმენტაციის და მოქმედი სტანდარტის მოთხოვნებს.

2. საკომპრესორო სადგურის ყველა მოწყობილობაზე და სისტემაზე უნდა წარმოებდეს ექსპლუატაციის ფორმულარი შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

3. საკომპრესორო სადგურების მოწყობილობები და სისტემები ექვემდებარება ტექნიკურ შემოწმებას, დათვალიერებას, აუცილებელ გამოცდებს სტანდარტით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. საკომპრესორო სადგურების შენობები (სათავსები) აღჭურვილი უნდა იქნეს: იძულებითი მომდენ-გამწოვი და საავარიო ვენტილაციით; ხანძრის ავტომატურად ჩამქრობი სისტემით; აფეთქებასაფრთხიანი კონცენტრაციების სიგნალიზატორებით, რომელიც ბლოკირებულია საავარიო ვენტილაციის ჩართვის ავტომატიკასთან; ოპერატიული კავშირით სადისპეტჩეროსა და საკომპრესორო სადგურის სხვა შენობებთან; შუქის და ხმოვან სიგნალიზაციასთან, რომელიც მოქმედებას იწყებს საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების და ავტომატიკის სისტემისათვის მიწოდებული ჰაერის (გაზის) წნევის შემცირებისას; ავარიული განათებით; სტაციონარული და მობილური ამწე და სატრასპორტო მოწყობილობებით.

5. კომპლექტურ-ბლოკური მიწოდების ცალკე მდგომი გაზის გადამტუმბი აგრეგატი გაწყობილი უნდა იქნეს ტექნიკური პირობების და შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

6. აკრძალულია საკომპრესორო საამქროს ექსპლუატაცია ჰაერში საწვავი გაზების რაოდენობის კონტროლის სისტემისა და სიგნალიზაციის გამორთვის ან გაუმართაობის პირობებში.

7. შენობაში არსებულ ჰაერში საწვავი გაზის აფეთქებასაშიშ კონცენტრაციაზე სიგნალიზატორის მუშაობის შემოწმება უნდა მოხდეს დამამზადებელი ქარხნის ინსტრუქციების შესაბამისად.

8. ცენტრიდანული საჭირხნებიანი საკომპრესორო სადგურის ავარიული გამორთვა შესაძლებელი უნდა იყოს ერთი გასაღების მობრუნებით, რომლის დროსაც ერთდროულად ჩერდება ყველა მომუშავე საკომპრესორო აგრეგატი და გადართევა საერთო სტაციონარული ონკანები გაზის გადაშვებაზე საკომპრესორო სადგურის გაზსადენებიდან.

გაზგადამტუმბი აგრეგატი უნდა აღიჭურვოს ავარიული დაცვის მოწყობილობებით, რომლითაც უნდა მოხდეს ავარიული აგრეგატის ავარიული გაჩერება ნებისმიერი ავარიული რეჟიმის დამხმარე მექანიზმის უწყისივრობისას.

9. დისტანციური ამუშავების გაზსატუმბი აგრეგატები უნდა აღიჭურვოს წინასწარი შეტყობინების სასიგნალო მოწყობილობით.

10. გაზომოტორულკომპრესორიანი საკომპრესორო საამქროს სამანქანო დარბაზში და საჭირხნი საშუალებების შენობებში დამონტაჟებული ელექტრომოწყობილობა უნდა იყოს აფეთქებაუსაფრთხო შესრულების.

11. საკომპრესორო სადგურზე კომპრესორის და სხვა მოწყობილობების ხმაურის დონე არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სტანდარტებით განსაზღვრულ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

12. საკომპრესორო მოწყობილობა შეღებილი უნდა იყოს შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

13. საკომპრესორო საამქროს მილსადენებზე დატანილი უნდა იყოს ისრები, რომლებიც აჩვენებენ გაზის, ჰაერის და სხვა ნივთიერებების მოძრაობის მიმართულებას.

14. საკომპრესორო საამქროს კომუნიკაციებზე განთავსებულ ჩამკეტ და მარეგულირებელ არმატურას უნდა ჰქონდეს ნუმერაცია შესაბამისი სისტემების პრინციპული სქემების ნორმების შესაბამისად. ჩამკეტ არმატურას ასევე უნდა ჰქონდეს გაღება-დაკეტვის მაჩვენებელი.

15. ზეთები უნდა ინახებოდეს შესაბამისი სტანდარტის მიხედვით, სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში განთავსებულ მჭიდროდ დახშულ ტევადობებში, რომლებზეც უნდა იყოს წარწერა ზეთის სახეობის შესახებ.

16. პირებს, რომლებიც არ არიან დაკავებული გაზგადამტუმბი აგრეგატების და მათი მოწყობილობების ექსპლუატაციით და რემონტით, ეკრძალებათ საკომპრესორო საამქროების შენობებში, სტაციონარული კოლექტორების მოედნებზე, საკომპრესორო სადგურების მიერთების კვანძებში შესვლა.

17. საკომპრესორო სადგურის პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისი სტანდარტის მიხედვით ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

18. საკომპრესორო სადგურის განთავსების რაიონში ჭექა-ქუხილის დროს დაუშვებელია გაზგადამტუმბი აგრეგატის ამუშავება, გადართვები ტექნოლოგიურ სარტყელში ან ძალურ მოწყობილობაზე.

19. დამხმობები, დამცავი სარქველები, მილტუჩა და სხვა შეერთებების სიმტკიცეზე და ჰერმეტიულობაზე გამოცდის წინ უნდა მოინიშნოს უსაფრთხოების ნიშნებით და წარწერებით.

20. აკრძალულია მუშაობის პერიოდში გაზგადამტუმბი აგრეგატების მიტოვება მეთვალყურეობის გარეშე.

21. გაზგადამტუმბი აგრეგატის ცალკეული კვანძებიდან ან შეზეთვის სისტემიდან ზეთის გაჟონვის შემთხვევაში, მიღებული იქნეს ზომები გაჟონვების სალიკვიდაციოდ. დაუშვებელია ზეთის დაღვრა საამქროს იატაკზე ან მოწყობილობების საძირკვლებზე.

22. საკომპრესორო სადგურის მეორე რიგის გაზსატუმბი აგრეგატის მშენებლობისას, საკომპრესორო სადგურის სამანქანო დარბაზისა და საჭირხნის გალერეის ნაწილი, რომელშიც მუშაობს პირველი რიგის აგრეგატები, უნდა განცალკევდეს ერთმანეთისაგან გაზგაუმტარი, ცეცხლმედეგი კედლით (ტიხრით).

23. საჭირხნების გახსნამდე აუცილებელია მომდენ-გამწოვი ვენტილაციის საიმედო მუშაობაში დარწმუნება.

24. საჭირხნის გახსნისას აკრძალულია საჭირხნის გალერეაში ისეთი სამუშაოების ჩატარება, რომელიც უშუალოდ არაა დაკავშირებული მის გახსნასთან.

25. საჭირხნების გახსნის დროს შენობაში ყოფნის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ახდენენ გახსნას, აგრეთვე, მათ, რომლებიც მომსახურებას უწევენ გაზის საჭირხნ აგრეგატს.

26. საკომპრესორო სადგურის გაზსადენებზე შედუღების ახალი ნაკერები, რემონტის ჩატარების შემდეგ, უნდა შემოწმდეს მთელ პერიმეტრზე შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

#### მუხლი 9. გაზმოტორული კომპრესორი

1. გაზმოტორული კომპრესორის ელექტრომოწყობილობა, მისი ანთების სისტემა და ამუშავების აპარატურა უნდა შეესაბამებოდეს აფეთქებადაცულობის დონეს.

2. საკომპრესორო საამქროს ფარგლებში არსებულ გამოსაბოლქვ მილსადენებს, რომელთა გაცივება არ ხდება წყლით, უნდა ჰქონდეს თბური იზოლაცია და არ უნდა ჰქონდეს შეხება საწვავ მასალებთან.

3. დამცავი სარქველებიდან გაზის გამოსაშვები სანთლები, აგრეთვე, გაქრევის მილყელები არ შეიძლება მოეწყოს უშუალოდ ძრავების მიერ ნამუშევარი გაზების გამობოლქვის ადგილებთან.

4. გაზმოტორული კომპრესორის ამუშავებისას აფეთქებების თავიდან ასაცილებლად გამობოლქვის სისტემაში უნდა ჩაირთოს მაგნეტო და საწვავი გაზი მიეწოდოს აუცილებლად გამობოლქვის სისტემის შეკუმშული ჰაერით გაქრევის შემდეგ.

5. აკრძალულია გაზმოტორული კომპრესორის მუშაობა, თუ არ არის გამართულ მდგომარეობაში მაყუჩების (დემპფერების) აფეთქების სარქველები, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებს.

6. აკრძალულია გაზმოტორული კომპრესორის მუშაობის დროს ინდიკატორული ონკანის გაღება ცილინდრების გაქრევისათვის, აგრეთვე, ძრავების სანთლებიდან მაღალი ძაბვის ელექტროსადენების განრთვა ან სანთლების შემოწმება.

7. შესაბამისი სტანდარტის მიხედვით, პერიოდულად უნდა მოხდეს გამობოლქვის მილსადენის და მაყუჩის (დემპფერის) დათვალიერება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, ჭვარტლისაგან გაწმენდა.

8. გაზმოტორული კომპრესორის კარტერის ლიუკის გახსნა ნებადართულია მხოლოდ კომპრესორის გაჩერების და გაცივების შემდეგ.

9. ღია ძალური ცილინდრები აუცილებელია დაიხუროს, რათა მასში არ მოხვდეს უცხო საგნები.

#### მუხლი 10. გაზტურბინულამძრავიანი საკომპრესორო სადგური

1. გაზტურბინულამძრავიანი საკომპრესორო სადგურის ტერიტორიაზე გაზგადამტუმბი აგრეგატის ჰაერის მიმღები კამერიდან მოქმედი სტანდარტით დადგენილ მანძილზე არ უნდა იყოს ჰაერის დამტვერიანების წყარო (მათ შორის, გრუნტის გზები, ხსნარებიანი კვანძები, ფხვიერი მასალების საწყობები და ა.შ.).

2. საკომპრესორო სადგურის ტერიტორია უნდა იყოს გამწვანებული, ხოლო ჰაერის მიმღები კამერის სიახლოვეს ღია უბნები – დაფარული გაზონის ბალახით ან მოასფალტებული.

3. საჭირხნის ამძრავი ლილვის გასასვლელი (ნახვრეტი) ამძრავებსა და საჭირხნებს შორის გამყოფ კედელში უნდა იყოს ჰერმეტიკული.

4. გაზტურბინული ამძრავის თბური იზოლაცია უნდა უზრუნველყოფდეს აგრეგატის ნორმალურ მდგომარეობას და უსაფრთხო ექსპლუატაციას.

5. გაზტურბინულამძრავიანი გაზსატუმბი აგრეგატების ავარიული გაჩერება უნდა ხდებოდეს ექსპლუატაციის ინსტრუქციის შესაბამისად.

6. გაზტურბინული აგრეგატების ჰაერის მიმღები კამერები უნდა იყოს დაკეტილი. დაუშვებელია აგრეგატის მუშაობის დროს კამერაში ხალხის ყოფნა და უცხო საგნების მოხვედრა.

#### მუხლი 11. გაზის კონდესატის უტილიზაცია



1. გაზში გაზკონდენსატის გამოვლენის შემთხვევაში, მის დასაჭერად, ტევადობებში შესაკრებად, გადატუმბვისა და უტილიზაციისათვის დადგმული უნდა იქნეს გამაფრთხილებელი სიგნალის გადამცემი გადამწოდებით აღჭურვილი მოწყობილობები შესაბამისი სტანდარტის მიხედვით. ტევადობებსა და აპარატებში სითხის ზღვრული დონის მიღწევას გადამწოდები უნდა უზრუნველყოფდეს სიგნალის გადაცემას, რის შედეგადაც ზომები უნდა იქნეს მიღებული ამ დონის დასაშვებ მნიშვნელობამდე შესამცირებლად.

2. დანადგარების კვანძების გაქრევა, რომელშიც გროვდება გაზის კონდენსატი, უნდა მოხდეს დამცავი მოწყობილობებით აღჭურვილ, წნევის სიდიდის დასაშვებ ფარგლებში რეგულირების ფუნქციის მქონე, სპეციალურ ტევადობაში.

3. ტევადობებიდან გაზკონდენსატის გადასატუმბი ელექტრომოწყობილობა უნდა იყოს აფეთქებაუსაფრთხო შესრულების.

4. გაზკონდენსატის შემკრებ, გადატუმბვის და გამომშვებ მოწყობილობებს, უნდა გააჩნდეთ მეხამრიდები და სტატიკური ელექტროობისაგან დაცვა მოქმედი სტანდარტის შესაბამისად.

5. გაზკონდენსატიანი ავტოცისტერნებისათვის გამოყოფილი უნდა იქნეს სპეციალური სადგომები შესაბამისი სტარდატის დაცვით, უსაფრთხო მანძილზე.

6. გაზკონდენსატი გაქრევის ტევადობიდან უნდა გადაიხას სპეციალურ ავტოცისტერნებში, რომლებიც აღჭურვილი იქნება ავსების და დაცლის პროცესში დამიწების შესაძლებლობის მქონე ჩამამიწებელი მოწყობილობებით და ცეცხლმაქრებით. ძრავის მაყუჩი (დემპფერი) გამოყვანილი უნდა იყოს წინ, ხოლო გამოსაბოლქვი მილის ბოლოები - აღჭურვილი ნაპერწკალჩამქრობით.

7. სადგომიდან გაზკონდენსატის ჩასხმის ადგილას, გასვლის წინ, მომსახურე პერსონალმა უნდა შეამოწმოს ავტოცისტერნის მოწყობილობისა და ელექტროგაყვანილობის გამართულობა შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

8. გაზკონდენსატის ჩასხმისა და გადმოსხმისას ავტომობილის ძრავა უნდა იყოს გამორთული. ცისტერნის კორპუსი, შლანგები გაზკონდენსატისათვის და მისი ლითონის ბუნიკი უნდა ჩამიწდეს. შლანგის ბუნიკი ჩაშვებული უნდა იყოს ცისტერნის ფსკერამდე.

## მუხლი 12. გაზის მიწისქვეშა საცავი

1. წინამდებარე მუხლის მოთხოვნები ვრცელდება მიწისქვეშა გაზსაცავის შემდეგ ობიექტებზე: მაგისტრალური გაზსადენის განშტოება; გაზის მიწისქვეშა საცავი; დამატებითი დაწნეხვის საკომპრესორო სადგური გაზის წნევის გასაზრდელად, რომელიც ჩაიტუმბება მიწისქვეშა ფენებში ან მიეწოდება მაგისტრალურ გაზსადენებს; გამანაწილებელი (შემრები) მილსადენების სისტემა ჭაბურღილში გაზის მისაწოდებლად ან მისგან ასაღებად; დანადგარები გაზის გასუფთავებისა და გაშრობისათვის; დამხმარე ნაგებობები, კომუნიკაციები და მოწყობილობები.

2. მაგისტრალური გაზსადენიდან გაზის მიწისქვეშა საცავამდე გაზსადენ-განშტოების და სხვა გაზსადენების, რომლებშიც მუშა წნევა აღემატება 1,2 მგპა-ს, ექსპლუატაციის პირობები უნდა აკმაყოფილებდეს ამ რეგლამენტის მოთხოვნებს.

3. გაზსადენების, რომლებშიც მუშა წნევა ნაკლებია 1,2 მგპა-ზე, ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს გაზის მეურნეობაში უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად.

4. მიწისქვეშა გაზსაცავის ჭაბურღილების გარშემო ტერიტორია უნდა გაიწმინდოს ბუჩქნარისა და ტყისაგან.

5. იმ შემთხვევაში, თუ წარმოიქმნა გაზის ღია შადრევანი, მიწისქვეშა გაზსაცავის პერსონალის მიერ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული ზომები მისი ლიკვიდაციისათვის, ავარიის ლიკვიდაციის გეგმის მიხედვით.

თავი IV. გაზგამანაწილებელი სადგური, ხარჯსაზომი პუნქტი, ოდორიზაციის დანადგარი

## მუხლი 13. გაზგამანაწილებელი სადგური და პუნქტი

1. გაზგამანაწილებელი სადგურების და პუნქტების ძირითადი და დამხმარე მოწყობილობების ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს ექსპლუატაციის ინსტრუქციების მოთხოვნების და შესაბამისი სტანდარტის დაცვით.

2. გაზგამანაწილებელ სადგურებსა და პუნქტებზე შესაბამისი სტანდარტის მიხედვით უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია: ტექნიკური პასპორტი; დამტკიცებული საშემსრულებლო და ტექნიკური დოკუმენტაცია: სამშენებლო, ტექნოლოგიური, სანტექნიკური და ელექტროტექნიკური ნაწილები; საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების, ავტომატიკის, კავშირგაბმულობის და ელექტროქიმიური დაცვის საშემსრულებლო ნახაზები და დოკუმენტაცია; გაზის გასუფთავების, შეთბობის, ოდორიზაციის და მეთანოლის დანადგარის საშემსრულებლო სქემები; ავტომატური დაცვის და სიგნალიზაციის მოწყობილობების საშემსრულებლო პრინციპული სქემები; უბნის გენერალური გეგმა ნაგებობების განლაგებით; შრომის დაცვაზე დოკუმენტაცია ნორმატიული დოკუმენტაციის შესაბამისად.

3. ჩამკეტი არმატურა (ონკანები) გათვალისწინებული უნდა იყოს გაზის გამანაწილებელი სადგურის შესასვლელსა და გამოსასვლელზე შესაბამისი სტანდარტის მიხედვით. გაზგამანაწილებელი სადგურის გამოსასვლელ გაზსადენებზე გათვალისწინებული უნდა იყოს წნევის გადამეტების ავტომატური დაცვა.

4. შესასვლელ და გამოსასვლელ გაზსადენებზე უნდა დამონტაჟდეს მაიზოლირებელი მილტუჩები.

5. გაზგამანაწილებელი სადგურის შენობა დაცული უნდა იქნეს მეხის პირდაპირი ზემოქმედებისაგან, ხოლო გარე დანაგარები (მტვერდამჭერები, ზეთის მეურნეობა, სანთლები და ა.შ.) დაცული უნდა იქნეს ელვის მეორადი გამოვლენისაგან ჩამამიწებელ მოწყობილობასთან მიერთებით.

6. გაზგამანაწილებელი სადგური უნდა აღიჭურვოს სავენტილაციო მოწყობილობით, რომელიც უზრუნველყოფს ჰაერმიმოცვლის ჯერადობას შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

7. გაზგამანაწილებელი სადგურებისა და პუნქტების აფეთქებასაფრთხიან შენობებში ელექტროგანათება უნდა იყოს აფეთქებაუსაფრთხო შესრულების.

8. გაზის გამანაწილებელი სადგურის და გაზის გამანაწილებელი პუნქტის მოწყობილობების და სისტემების უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის აუცილებელია ჩატარდეს ტექნიკური მომსახურება იმ მოცულობით და ვადებში, რომლებიც დადგენილია შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

9. გაზგამანაწილებელი სადგურის და პუნქტის შენობებში საცეცხლე სამუშაოები უნდა შესრულდეს, მოწყობილობის გამორთვისა და გაზისაგან დაცლის შემდეგ, შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

#### მუხლი 14. ოდორიზაციის დანადგარი

1. გაზი ოდორიზებული უნდა იქნეს ოდორიზების დანადგარებით, რომლებიც განთავსდება გაზის გამანაწილებელი სადგურის ტერიტორიაზე.

2. აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ოდორანტები მავნე ნივთიერებებია, ხოლო ოდორიზაციის დანადგარების და ოდორანტების საწყობების შენობები – აფეთქებასაფრთხიანი.

3. გაზის ოდორიზების და ოდორანტის შენახვის შენობები უნდა მოეწყოს იმავე მოთხოვნების შესაბამისად, რაც წაეყენება აფეთქებადსაფრთხიან და ხანძარსაშიშ შენობებს.

4. შენობების იატაკები, სადაც ხდება გაზის ოდორიზაცია და ოდორანტის შენახვა, ისეთი მასალებისაგან უნდა იქნეს დამზადებული, რომლებიც არ იწოვს სითხეს (არ ხდება მათი სითხით გაჟღენთვა).

5. ოდორიზაციის დანადგარების შენობებში და ოდორანტების დახურულ საწყობებში პერიოდულად უნდა ჩატარდეს მუშა ზონის ჰაერის ანალიზი ნახშირწყალბადების შემოწმებაზე, აგრეთვე, ოდორანტების ორთქლზე შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

6. ოდორიზაციის შენობაში და ოდორანტის საწყობში შესვლა უნდა მოხდეს შესაბამისი აირწინაღობით. თუ ამ შენობებში ვენტილაცია არ მუშაობს, მომსახურე პერსონალი ვალდებულია ჩართოს მექანიკური გამწოვი ვენტილაცია.

7. ოდორანტის შესანახი კასრის გახსნა, მისგან ოდორანტის გადმოსხმა, კასრის გარეთა საცობის მოხსნა უნდა განხორციელდეს შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნათა დაცვით.

8. ოდორანტი, რომელიც დაიდგრება იატაკზე ან მიწაზე, დაუყოვნებლივ ნეიტრალიზებული უნდა იქნეს. მანეიტრალიზებული ნივთიერებით დამუშავების შემდეგ საჭიროა მიწა დაიბაროს და მეორედ მოირწყოს მანეიტრალიზებული ხსნარით.

9. ოდორანტისაგან გათავისუფლებული კასრი (ტარა) ტრანსპორტირებული და შენახული უნდა იქნეს ჰერმეტიკულად დახურულ მდგომარეობაში.

10. ოდორიზაციის დანადგარის ელექტრომოწყობილობა, ელექტროგანათება, საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები და ავტომატიკის საშუალებები უნდა იყოს აფეთქებაუსაფრთხო შესრულების.

11. ოდორიზატორის შიდა შემოწმების და რემონტის დროს აუცილებელია მისი გათავისუფლება ოდორანტისაგან, რის შემდეგაც იგი უნდა გატარდეს ორთქლში (გამოიორთქლოს) შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

#### მუხლი 15. ხარჯსაზომი პუნქტი

1. ხარჯსაზომი პუნქტების (სადგურების) მოწყობა, ექსპლუატაცია და რემონტი უნდა ხდებოდეს წინამდებარე რეგლამენტის და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ხარჯსაზომი პუნქტების შენობებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს მომდენ-გამწოვი ვენტილაცია, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – კონდიციონერაც.

3. ხარჯსაზომი პუნქტების ელექტრომომარაგების სისტემის გამანაწილებელი ქსელი უნდა იყოს აფეთქებაუსაფრთხო შესრულების.

#### მუხლი 16. ელექტროდანადგარები

1. მაგისტრალური გაზსადენების ელექტროდანადგარები უნდა შეესაბამებოდეს ელექტროდანადგარების მოწყობის წესების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის დაპროექტების მოთხოვნებს.

2. აფეთქებასაფრთხიან ზონაში ელექტრომოწყობილობის მონტაჟი უნდა პასუხობდეს აფეთქებასაფრთხიანი ზონების ძალური და განათების ქსელების ელექტრომოწყობილობის მონტაჟის ინსტრუქციის და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

3. ელექტროდანადგარების ექსპლუატაცია, დათვალიერება და რემონტი უნდა ხდებოდეს მომხმარებლების ელექტროდანადგარების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების და მომხმარებელთა ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების შესაბამისად.

4. გამანაწილებელი დანადგარების სატრანსფორმატორო ქვესადგურების (პუნქტების) კარებზე, ელექტროგადაცემის საჰაერო ხაზების საყრდენებსა და სხვა შესაბამისი ობიექტების ელექტროდანადგარების შემოღობვის აუცილებელ ადგილებში უნდა განთავსდეს უსაფრთხოების შესაბამისი ნიშნები და ფირნიშები შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

5. აფეთქებასაფრთხიან ზონაში დამონტაჟებული ელექტრომოწყობილობის ელექტრული გამოცდების და პარამეტრების გაზომვები უნდა ჩატარდეს შესაბამისი სტანდარტების მოთხოვნათა დაცვით.

6. აფეთქებასაფრთხიან ზონაში აკრძალულია აფეთქებადაუცველი გადასატანი ელექტროინსტრუმენტის და სანათის გამოყენება.

7. აფეთქებასაფრთხიან ზონებში გამშვები აპარატურის, დამცველების, ელექტრონათურების შეცვლა უნდა შეასრულოს უსაფრთხოების ტექნიკის სფეროში შესაბამისი საკვალიფიკაციო ჯგუფის ელექტროტექნიკურმა პერსონალმა, ქსელის შესაბამისი უბნებიდან ძაბვის სრულად მოხსნის შემდეგ.

8. მოთხოვნები ელექტროდანადგარების მომსახურე პერსონალისადმი და აუცილებელი საკვალიფიკაციო ჯგუფის დადგენა ხდება მომხმარებლების ელექტროდანადგარების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების და მომხმარებლების ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების მოთხოვნების შესაბამისად.

9. პირები, რომლებიც ახდენენ ელექტროფიცირებული აგრეგატების ჩართვას და გამორთვას, უნდა გაიარონ შესაბამისი ინსტრუქტაჟი ელექტროუსაფრთხოებაში.

10. მომეტებული საფრთხის შენობებში განთავსებული ელექტროძრავების და სხვა ელექტრული აპარატურის, გამშვები მოწყობილობის (გარდა დისტანციური მართვისა), აგრეთვე, 1000 ვ-ზე მეტი ძაბვის კვების მქონე განსაკუთრებული საფრთხის და გარეთ განთავსებული დანადგარების წინ უნდა განთავსდეს საიზოლაციო ქვესადგამები.

11. დამცავი საშუალებები გამოყენების წინ უნდა იქნეს შემოწმებული შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

12. ელექტროდანადგარების (ფარების, შემკრებების და ა.შ.) გამანაწილებელი მოწყობილობების შენობების კარები უნდა იყოს დაკეტილი.

#### მუხლი 17. საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები

1. მაგისტრალური გაზსადენების ობიექტები უნდა აღიჭურვოს გამართული საზომ-საკონტროლო ხელსაწყოებით, ავტომატიკის საშუალებებით, ტელემექანიკით, ციფრული ტექნიკით.

2. აკრძალულია იმ პირთა დაშვება, რომელთაც არა აქვთ საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების, ავტომატიკის საშუალებების და დაცვის მოწყობილობების მომსახურებასა და კონტროლთან პირდაპირი კავშირი.

3. აკრძალულია მოწყობილობების ექსპლუატაციაში გაშვება საზომ-საკონტროლო და ავტომატიკის გაუმართავ ან გამორთულ მდგომარეობაში.

4. გაზომვისა და ავტომატიზაციის საშუალებების გამართულობის და ჩვენებების სისწორის შემოწმების პერიოდულობა განისაზღვრება მოქმედი სტანდარტის მიხედვით.

5. ავტომატიზაციის, ტელემექანიზაციის და ციფრული ტექნიკის საშუალებების კომპლექსში შემაჯავლი ელექტრომოწყობილობა უნდა იქნეს ჩამიწებული ელექტროდანადგარების მოწყობის წესების მოთხოვნების შესაბამისად.

6. საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოები და ავტომატიკის საშუალებები, რომლებიც დაყენებულია აფეთქებასაფრთხიან ზონებში, უნდა იყოს აფეთქებაუსაფრთხო შესრულების.

7. დაუშვებელია აპარატების და ხელსაწყოების ექსპლუატაცია, თუ იგი არ შეესაბამება დამამზადებელი ქარხნის ინსტრუქციისა და შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებს.

8. ჭურჭლების, რომლებიც შედის პნევმოჰიდროავტომატიკის სისტემაში და მუშაობს წნევის ქვეშე უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი რეგლამენტებისა და სტანდარტების მოთხოვნებს. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს ჰაერის წნევის დასაშვები ზღვრების (ზედა და ქვედა) შესაბამისი სიგნალიზაცია.

9. საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები და ავტომატიკის საშუალებები, რომლებიც განთავსებულია მართვის ფარეზზე, უნდა აღიჭურვოს მათი დანიშნულების განმსაზღვრელი წარწერებით. მანომეტრები და სხვა საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები და ავტომატიკის საშუალებები ისე უნდა იქნეს დაყენებული, რომ კარგად ჩანდეს სამუშაო ადგილებიდან და გააჩნდეს შკალის დანაყოფებზე დასაშვები მუშა წნევის შესაბამისი წითელი ხაზი შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

თავი V. არაარსებითი, არსებითი და კრიტიკული შეუსაბამობები

მუხლი 18. არსებითი შეუსაბამობების განსაზღვრა

1. ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-16 და მე-19 პუნქტებში, მე-5 მუხლის პირველ, მე-5, მე-7 და მე-8 პუნქტებში, მე-6 მუხლის პირველ, მე-2, მე-5, მე-8, მე-9, მე-10 და მე-19 პუნქტებში, მე-7 მუხლის პირველ, მე-4 და მე-5 პუნქტებში, მე-8 მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-7, მე-9, მე-11, მე-13, მე-14, მე-15, მე-17, მე-20, 21-ე, 22-ე, 23-ე და 26-ე პუნქტებში, მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში, მე-10 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტებში, მე-13 მუხლის მე-2, მე-5 და მე-8 პუნქტებში, მე-14 მუხლის მე-9 პუნქტში, მე-15 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში, მე-16 მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-4, მე-10 და მე-12 პუნქტებში, მე-17 მუხლის პირველ, მე-5 და მე-9 პუნქტებში მითითებული მოთხოვნების დარღვევა განეკუთვნება I ხარისხის არსებით შეუსაბამობას.

2. ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში, მე-11 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ მოთხოვნათა დარღვევა განეკუთვნება II ხარისხის არსებით შეუსაბამობას.

მუხლი 19. კრიტიკული შეუსაბამობების განსაზღვრა



1. ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-6, მე-8 და მე-10 პუნქტებში, მე-9 მუხლის პირველ პუნქტში, მე-10 მუხლის პირველ პუნქტში, მე-11 მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში, მე-13 მუხლის პირველ, მე-3, მე-6 და მე-7 პუნქტებში, მე-14 მუხლის მე-3 და მე-10 პუნქტებში, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტში, მე-17 მუხლის მე-3, მე-6 და მე-8 პუნქტებში მითითებულ მოთხოვნათა დარღვევა განეკუთვნება I ხარისხის კრიტიკულ შეუსაბამობას.

2. ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული დარღვევა განეკუთვნება II ხარისხის კრიტიკულ შეუსაბამობას.

მუხლი 20. არაარსებითი შეუსაბამობების განსაზღვრა

ტექნიკური რეგლამენტის მე-19 და მე-20 მუხლებში მოცემული შესაბამისი მუხლების გარდა, ყველა სხვა მუხლებში მითითებული მოთხოვნების დარღვევა განაკუთვნება არაარსებით შეუსაბამობას.

- პირველადი სახე - კონსოლიდირებული დოკუმენტი - დოკუმენტის საბოლოო სახე  
(კონსოლიდირებული) - ცვლილების დოკუმენტი

სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" 2010-2012, ყველა უფლება დაცულია.

დამუშავებულია AzRy© LTD-ს მიერ